ინოვაციები – ქვეყნისათვის

ფუფუნება, თუ განვითარების ერთადერთი გზა?!



თამაზ ვაშაკიძე,
აკადემიური დოქტორი,
საწარმოთა ინოვაციური
განვითარების ცენტრი

*ჩვენს ჟურნალში ხშირად იბეჭდება პუბლიკაციები, საქართველოში ინოვაციური პროცესების და შესაბამისად ინვესტიციების ჩადების არ არსებობის შესახებ. ივლისის დასაწყისში ევროკავშირის უწყვეტი განათლების, ჟან მონეს პროგრამის ეგიდით და ასოციაცია **„ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის** (ეგსიგ)" ორგანიზაციული და კვლევითი მონაწილეობით, ჩატარდა სემინარი **„ევროპული საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია".** სემინარზე წარმოდგენილი იყო გზამკვლევი **„მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია",** სადაც ქართველი მეცნიერების მიერ ევროკავშირის ქვეყნებში ინოვაციების განვითარების სხვადასხვა მიმართულებების ირგვლივ ჩატარებული კვლევების შედეგებია წარმოდგენილი.*

*გთავაზობთ ამ გამოცემის ერთ-ერთი ავტორის, ბ-ნ **თამაზ ვაშაკიძის,** საინტერესო მსჯელობებს საქართველოში მცირე და მცირე ინოვაციური მეწარმეობის განვითარებაზე.*

რამდენიმეჯერ აღვნიშნე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჟურნალი **„ბიზნესი და კანონმდებლობა"** ალბათ ერთადერთი გამოცემაა, რომელიც თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად ცდილობს მკითხველს, საქართველოში, ინოვაციური პროცესების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს.

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასოციაცია **„ეგსიგ"**-ი არ იშურებს არც ძალისხმევას და არც მის განკარგულებაში არსებულ მწირე სახსრებს, რათა საზოგადოებას გააცნოს მსოფლიოში ინოვაციური განვითარების მდგომარეობა და ის გზები, რომლებითაც შეიძლება ეს გამოცდილება ეტაპობრივად იქნეს გადმოტანილი საქართველოში. ამ საქმიანობაში აუცილებელია უფროსკლასელთა, სტუდენტთა, ახალგაზრდა მეცნიერთა უფრო აქტიური ჩართვა, რათა შეექმნათ სამომავლო კადრები, რომლებიც არ მისცემენ საშუალებას საქართველოს შიდა და გარე მტრებს, ქვეყანა უცოდინარობის ჭაობში ჩაფლონ. აქვე დავძენ, რომ ეს არ არის ასეთი ძალისხმევის პირველი მცდელობა. აკადემიკოსმა, საქართველოს ეროვნული საინოვაციო სამსახურის **„საქინოვაციის"** (გაუქმებულია ყოფილი ეკონომიკის განვითარების მინისტრის **კ.ბენდუქიძეს** მიერ) გენერალურმა დირექტორმა ბ-მა შოთა ჭალაგანიძემ ჯერ კიდევ 2003 წელს გააკეთა მცდელობა თავი მოეყარა იმ მკვლევარებისათვის, ვინც გაიაზრა, რომ XXI საუკუნე – ინოვაციების საუკუნეა და პირველად საქართველოში გამოსცა სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი **„ინოვაცია"**. სამწუხაროდ, ეს ძალიან კარგი და სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციისთვის აუცილებელი გამოცემა **„საქინოვაციის"** გაუქმებას გადაყვა.

სხვათა შორის, არა საქართველოსთვის ინოვაციების „ფუფუნებაზე" განაცხადა იმავე **კახა ბენდუქიძემ,** როდესაც გააუქმა სამინისტროს წიაღში არსებული ინვესტიციების და ინოვაციების დეპარტამენტი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო პერიოდის ეკონომიკის სამინისტროს მამამთავრები ყველაფერს აკეთებდნენ გარდა ეკონომიკის განვითარების. ასე მაგალითად, **ლაშა ჭვანიას** დანიშვნაწინგადადგმულ ნაბიჯად მივიღებთ მცირე მეწარმეობის და განსაკუთრებით მცირე საინოვაციო ბიზნესის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა. იგი 3-4 წელიწადი იყო ელჩად ისრაელში. მოგეხსენებათ, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად არის დაყრდნობილი მცირე ბიზნესის განვითარებაზე. ამასთან, ისრაელი თავისი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალით მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსებით ისრაელს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია – 4.5%, ასევე პირველი ადგილი უკავია მეცნიერთა და ინჟინერთა რაოდენობით (10 ათას მომუშავეზე – 140). გამომდინარე აქედან, ბ-ნ **ლაშა ჭვანიას** როგორც ეკონომიკის მინისტრს რაიმე ქმედითი ღონისძიება მაინც უნდა გაეტარებინა. სამწუხაროდ ასე არ მოხდა.

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის ხელმძღვანელის ქალბატონ **ელენე ბერკოვიჩის** და მისი ზემდგომის **„ებრაელთა ევროაზიური კონგრესის"** დახმარებით საქართველოში დავპატიჟეთ საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრის „Polimate"-ს დამფუძნებელი და დირექტორი, ისრაელის

გამომგონებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, ევროპის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 500-ზე მეტი პატენტის ავტორი, **პროფესორი ოლეგ ფიგოვსკი. ჩემს შეკითხვაზე შეუძლია თუ არა მეცნიერებას ქვეყნის ეკონომიკის საფუძველი გახდეს? - მიპასუხა რასაკვირველია და იქვე ისრაელის მაგალითზე მიმითითა.** ბ-ნ **ფიგოვსკიმ** ჩაატარა 2 ლექცია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, მეტალურგიის ინსტიტუტში და **„საქინფორმში“.** ლექციების თემატიკა იყო: **„ინოვაციების დანერგვა - ისრაელის მოდელი“** და **„მეცნიერება მართო მეცნიერებით“** (მოთავსებულია საიტზე www.tech.caucasus.net). სამწუხაროდ, მეცნიერებათა აკადემიის მესვეურნი და სხვა მაღალჩინოსანნი დაკავებულობის გამო ვერ შეხვდნენ მას.

ისმება კითხვა! როგორ გავხადოთ ინოვაციური ბიზნესი წარმატებულად? ამისათვის სიახლესთან ერთად საჭიროა, რომ ინოვაციურმა პროდუქტმა მიიზიდოს ნებისმიერი წამყვანი კომპანიის ყურადღება და იყოს მისთვის მოხერხებული. უნდა დავიმახსოვროთ, რომ ინვესტორი კაპიტალს დებს არა ინოვაციაში, არამედ ბიზნესში, სადაც ინოვაცია მისი წარმატების ერთ-ერთი საშუალებაა.

როგორც ვიცით, ინოვაციებისადმი ორნაირი მიდგომა არსებობს. **ერთნი ინოვაციურად მიიჩნევენ საბოლოო პროდუქტს, მოვლენას, მეორენი - კი მთლიანად ინოვაციურ პროცესს, სიახლესთან გაცნობას.** ამასთან, ტერმინ **„ინოვაციის“** გაგებისას ბევრს წარმოუდგენია, მეცნიერები, ინჟინრები, რომლებიც კათედრებზე და ლაბორატორიებში დღე და ღამეს ათენებენ. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ძირითადში ინოვაცია შეიძლება წარმოიქმნას ნებისმიერ ადგილზე და წამოვიდეს ნებისმირი ადამიანისაგან, რომელიც გარკვეულ დარგში მთელი დატვირთვით მუშაობს. ამიტომ მეწარმის პარტნიორები და თანამშრომლები მოტივირებულნი უნდა იყვნენ აზრთა გაცვლა-გამოცვლაზე, არ უნდა ერიდებოდნენ ნებისმიერი იდეის გაჟღერებას. ხომ თქვა ხალხურმა სიბრძნემ: **„ერთი თავი კარგია, ორი უკეთესია“. ტერმინ „ინოვაციის“ ავტორმა, ცნობილმა ავსტრიელმა ეკონომისტმა იოზეფ ცუმპეტერმა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის გარიჟრაჟზე სადად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა: „ინოვაცია არის კომერციალიზირებული გამოგონება“. ანუ დანერგილი გამოგონება!!!**

ბიზნესმენმა ინოვაცია შეიძლება დაინახოს საკუთარი ბიზნესის წარმართვისას და ეს ფაქტი ისეთივე ეფექტით ისარგებლებს, როგორც ბაზარზე ახალი პროდუქტის გატანა. მეწარმემ უნდა იცოდეს, რომ ინოვაცია რაღაც ახალს და უკეთესს ნიშნავს და ამიტომ ინოვაციური მენეჯმენტის სტილის ფლობამ შემოსავლები უნდა გაუორმაგოს.


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ეკონომიკაში მცირე საინოვაციო ბიზნესი ჯერჯერობით მხოლოდ უახლოვდება ე.წ. „start up“ -ის პოზიციებს მაგრამ ინოვაციების უდიდეს მნიშვნელობაში დარწმუნებულ ადამიანთა წრეში ეს პოზიციები შორეულ პერსპექტივაში ქვეყანაში ახალი ბაზრის წარმოქმნაზე მეტყველებს.


ჯერ კიდევ 1957 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა რობერტ სოლოუმ დაადგინა, რომ ეკონომიკური განვითარების უმთავრესი ფაქტორი - შრომის წარმადობა, პირდაპირ დამოკიდებულებაშია ინოვაციების დანერგვასთან.

საქართველოში დღეისათვის 8 000-დე პატენტია გაცემული. დაახლოებით ამდენივეა ყოფილი სსრკ საავტორო მოწმობები. გამოდის, რომ ინტელექტუალური კაპიტალი არის, მხოლოდ არ არის მისი კომერციალიზაცია და შესაბამისად გავლენა ეკონომიკაზე. რა ჭირდება მეწარმეს პირველ რიგში?

მეცენატები, სპონსორები, „ბიზნეს-ანგელოზები“, რომლებიც მოგცემენ საშუალებას „ხვნის“ ეტაპის გავლისა. ვენჩურული კაპიტალისტები, რომლებიც „თესვის“ ეტაპზეა აუცილებელი. პირდაპირი ინვესტიციების მომცემნი (ფონდები, კომპანიები, ფიზიკური პირები), რომლებიც კომპანიის გაწეული სამუშაოთი და ინოვაციური ზრდით დაინტერესდებიან. ეს არის პრაქტიკით აპრობირებული ჯაჭვი, იდეიდან პროდუქტამდე, მაგრამ ჩვენში ამ ჯაჭვის დასაწყისში რამდენიმე გარღვეული რგოლია.

მოგეხსნებათ, რომ ქართულად ტერმინი **„გამოგონება“**





ალბათ გონებიდან, ტვინიდან გამოღებულ აზრს, იდეას ნიშნავს. ინგლისური inventure - სამი განმარტების ნარევია: innovation (სიახლე), venture (რისკი), და ალბათ adventure- თავგადასავალი, ანუ, სიახლის დანერგვა დაკავშირებულია რისკთან (ელემენტარულად ჩადებული ფულის დაკარგვასთან), ხოლო, მთლიანი პროცესი თავგადასავლის ტოლია, რასაკვირველია სასურველი happy-end-ით.

ნებისმიერი ინოვაციის დანერგვა დიდ დროს და ხარჯებს მოითხოვს, ხოლო, ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული კანონმდებლობის, წესებისა და ნორმების მუდმივი ცვალებადობა მკვეთრად ართულებს კაპიტალის ჩადებას – შედეგის გათვლა შეიძლება მიუღწეველი იყოს. ვინაიდან, სახელმწიფო არ ქმნის მცირე ბიზნესში ინვესტიციების ჩადების ხელსაყრელ პირობებს, ქართულ მცირე ბიზნეს ურჩევნია ეკონომიკის ტრადიციულ დარგებში ისაქმიანოს.

მოგეხსენებათ ინოვაციებში ჩადებული ინვესტიციის ძირითადი მახასიათებელი რისკისა და შემოსავლის შეფარდება ხდება. რისკი ერთმნიშვნელოვნად მაღალია. რაც შეეხება შემოსავლიანობას, ვიცით, რომ ინოვაციის დანერგვას შეუძლია დიდი მოგების მოტანა, მაგრამ საწყის ეტაპზე საჭიროა დიდი ინვესტიციები, ხოლო ამონაგები შეიძლება 5-6 წელიწადზე გაიწელოს.

სილიციუმის ველი, სილიკონის ველი, ვინ ქმნის ასეთ ინოვაციურ ბიზნეს-ინკუბატორებს? რასაკვირველია სახელმწიფო, მეცნიერებაში ჩადებული მშპ-ის მინიმუმ 3% ით. რა გვაქვს სინამდვილეში - 0,1-0,2%. ცნობილი გამოთქმა **„ცოდნა-ძალაა”** ჯერჯერობით ჩვენამდე არ მოსულა. საიდან მოვა, როდესაც საქართველოში უდიდესი ტექნიკური სასწავლებლის პირველი პირი აცხადებს, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ინოვაციების დრო არ არის!

თანამედროვე ბაზრის პირობებში, სისტემამ, რომელმაც ვერ შეაფასა ინოვაციური პოტენციალის როლი, კარგავს თავის პოზიციებს ბაზარზე, კარგავს მომხმარებელს და შესაბამისად მოგების წილს. ასეთი მიდგომა თვითონ იწვევს კრიზისულ სიტუაციას და მთლიანად სისტემის დაშლას. განსაკუთრებით ზიანდება სახელმწიფო სექტორი, რომელიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მომხმარებლისთვის, საზოგადოებისთვის სპეციფიკური მომსახურების მიმწოდებელია. შესაბამისად, სახელმწიფოს და საზოგადოების სწრაფვა კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად, მთლიანად უნდა ეყრდნობოდეს ინოვაციური სექტორის განვითარებას და მის ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე აყვანას.

ერთი რამ ფაქტია, ქართულ ეკონომიკაში ინოვაციური კრიზისი, სიახლეების შექმნისა და დანერგვის პროცესის ფინანსირების წყაროების არარსებობით და კვლევითი ორგანიზაციების საქმიანობის მიზერული დაფინანსებითაა გამოწვეული.

ეკონომიკური კრიზისის დროს ის საწარმოები აღწევენ წარმატებას, სადაც ინოვაციური საქმიანობა და ახალი პროდუქტის დანერგვა ინოვაციური აქტიურობის მართვის უწყვეტ პროცესს წარმოადგენს. ანუ ანტიკრიზისული მართვის პირობებში ძირითად როლს არა ცალკეული ინოვაციები თამაშობენ, არამედ, მასშტაბური ინოვაციური სტრატეგიები, რომლებიც მიწოდებულნი არიან, დროის ხანგრძლივ პერიოდში, წარმოების ცალკეული დარგებისა და მთლიანად ქვეყნის სამეწარმეო სექტორის განვითარების კოორდინირებაზე.

კრიზისის პირობებში, ეფექტიან სამეწარმეო გარემოს ხელს უწყობს განვითარებული ინოვაციური ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად შეიცავს საორგანიზაციო, მატერიალურ, საფინანსო-საკრედიტო და ინფორმაციულ ბაზას. იგი სამსახურს გაუწევს ინოვაციური საქმიანობის განვითარებას, ტექნოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის კომერციალიზაციას.

მუდმივად განახლებაში ყოფნა - ჯანსაღი ეკონომიკის ბუნებრივი მდგომარეობაა.